თანამედროვე მემორიალური კულტურა საქართველოში

(ზუგდიდი, სამეგრელო)

გიორგი ავალიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტროს ხელმძღვანელი: პაატა ბუხრაშვილი, სრული პროფესორი
(ისტორიის მიმართულება)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყლებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ავალიანი

24/01/2014

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს თანამედროვე მემორიალური კულტურის თავისებურებები საქართველოში. ქალაქ ზუგდიდის ოთხი ძირითადი სასაფლაოზე დაკვირვებისა და შეგროვებული მასალის მემორიალური ძეგლების ტრადიციულ ტიპებთან შედარების საფუძველზე წარმოვადგენთ მემორიალური კულტურის თანამედროვე შტრიხების, საფლავის ძეგლების წარმოების, მათი ესთეტიკური ასპექტებისა და სიმბოლიკის მიმოხილვას. ყურადღებას ვამახვილებთ, მემორიალური ძეგლების შექმნაში ეკონომიკური და სიმბოლური კაპიტალის როლზე და შევეხებით საფლავის გამორჩეული ძეგლების სამომხმარებლო და საკრალურ ასპექტებს. ნაშრომს თან ერთვის შესწავლილი სასაფლაოების რუკა, საველე მუშაობისას შეკრებილი უხვი ფოტომასალა და მოკლე ვიდეო ინტერვიუ ერთ-ერთ ქირისუფალთან. კვლევის მასშტაბისა და ტექნიკური შეზღუდვების მიუხედავად, იგი ასახავს ადგილობრივი სოციალურ-ისტორიული კლიმატის გავლენას მემორიალური ძეგლების მოწყობაზე და გამოყოფს სამომავლო ძიებისთვის საგულისხმო საკითხებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მემორიალური კულტურა, სიკვდილი, საფლავი, სასაფლაო, ზუგდიდი, სამეგრელო, ელარჯი.

Abstract

This work aims to scrutinize the peculiarities of contemporary Georgian memorial culture and funerary art – production of gravestones, their aesthetic and symbolic aspects, the role of economic and symbolic capital in gravestone production, and the dichotomy of the sacred and the profane (as an object of mass consumption). The research is based on a field study involving four main cemeteries of Zugdidi, Samegrelo, and the findings are presented in the light of the Georgian academic tradition. The final part of the thesis outlines the areas of utmost scientific interest and marks several directions of future research. Attached are the map of Zugdidi cemeteries, numerous photos of the tombstones, and a short video interview.

Key words: Tombstone, Cemetery, Funerary Art, Memorial Culture, Death, Zugdidi, Samegrelo, Elarji.

მადლობა

კვლევის მომზადებისას გაწეული ფასდაუდებელი დახმარებისთვის უღრმეს მადლობას ვუხდი ნაშრომის ხელმძღვანელს პროფესორ პაატა ბუხრაშვილს, ბატონ ელდარ ნადირაძეს ქართული მემორიალური კულტურის შესწავლაში სამეცნიერო ბილიკის გაკვალვისთვის, ჩემს შეუდრეკელ მეგზურებს ზუგდიდის სასაფლაოების დიდებასთან ზიარებისთვის - ბატონ ვასილ და კარლო მაქაცარიებს, ჩემს გმირ ოჯახს სტოიკური სოლიდარობისთვის, ბატონ გია ლოგუასა და ლუკა ოთხმეზურს მუხლჩაუხრელი გულისხმიერებისთვის, ქართული ლინგვისტიკის კორიფეს ბატონ იური გოგროვსა და კომპანია „ლივინგსტონის“ მთელ სამუშაო კოლექტივს მუშაობის პროცესში გამოჩენილი უპირობო მხარდაჭერისთვის. მწადია, დიდი მადლობა მოვახსენო ჭითაწყარის ქვის საამქროს წარმომადგენელს ბატონ ოთარ შეროზიას, დავით ჯანჯღავასა და კობა შედანიას ჭირისუფლებს, რომლებმაც ჩემს დასახმარებლად ძალისხმევა არ დაიშურეს. აქვე დავძენ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს საფლავის ძეგლთა წმინდა სამეცნიერო ანალიზს და არა მიცვალებულთა ხსოვნის შერყვნას. დაე, უფალმა დაუმკვიდროს მათ საუკუნო სასუფეველი!